საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 329 1918 წ. ხუთშაბათი სექტემბერს 12. № 329

## ალბულადის რაიონში ჩვენი ჯარი იარაღს და ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს აგროვებს.—მოსკოვში განიზრახეს სახ. კომისარის პოდვოისკის მოკვლა: დაამსხვრიეს მატარებელი, რომელითაც კომისარი მოგზაურობდა.—გენ. ბრუსილოვი მოსკოვში იმყოფება


მწუხარებით გულმოკლული ნინო თომას ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა მისი საყვარელი და ძვირფასი მეუღლე

**კაპიტანი არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დედა მარიამ, და-ძმები: დარია, სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, ივანე და მიხეილ საყვარელიძენი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა პირველისა უძვირფასესი შვილი და მეორეთა საყვარელი ძმა კაპიტანი

**არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სიძეები: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ლაშხაური და რძალი მარიამ საყვარელიძისა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა პირველთა ძვირფასი ცოლის ძმა და უკანასკნელის მაზლი კაპიტანი

**არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ტფილისის ორგანიზაციები აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ტრაგიკულად დაიღუპა ძვირფასი ამხანაგი

**კაპიტანი არჩილ საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1312

ღრმად დამწუხრებულნი; მეუღლე ნინო ივანეს ასული, რძალი მარიამ ქსენაფონტეს ასული, შვილები: გიორგი, მიხეილი, ელენე, კატუშა, თამარა, ივანე და ნიკოლოზი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მღვდლის

**ონისიმე მიხეილის ძის მელიქაურის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე დილით 12 ს. საღ. 7 ს. გუნიბის შესახვევი № 45. დაკრძალვა მოხდა ენკენისთვის 12 იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში. 2—1

შვილები: ილიკო, ვასო, რძლები: მინადორა, ლიდია, შვილიშვილები: ვალიკო, მარუსია, გიორგი, ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ მიხეილის ასული ტურაბელიძე.**

გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, პანაშვიდი ყოველ დღე. ქუთაისი, მესხეთის ქუჩა საკუთარ სახლებში. 989

გულმოკლული დედა თედოსი (ძუბუნია) და მამა ყირიმი კაჭარავები, დაი ტასო, დის შვილები გრიშა, კოლია და მიტუშა კურცხალიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი და დაუვიწყარი

**მარიამ (მაშო) ყირიმის ასული სამსონაძისა.**

გამოსვენება მოხდება ტფილისიდან სამშობლო გურიაში, ქ. ლანჩხუთში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 990

**ტფილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი**

ამით აცხადებს, რომ:

1. ძირითადი განყოფილებები და კლასები (საანბანო, უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი განყოფილებები და 1, 2, 3 და 4 კლასები) გაეროვნებულია და ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლება.
2. ყველა პარალელურ განყოფილებებში და კლასებში და აგრეთვე ძირითად 5, 6, 7 კლასებში სწავლა რჩება რუსულ ენაზე.
3. მისაღები და ხელახლა გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 20-ს დილის 9 საათიდამ

გამოცდების განწესრიგება და ყველა ცნობების მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში. 989



**ცირკი „მოდერნი“**

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ხუთშაბათს სექტემბრის 12-ს

**გალა წარმოდგენა.**

დღეს დუეტი ცნობილი მარიამ და ანტონ ზინკოვსკებისა უკანასკნელი გასტროლი ალისა მონაწილეობენ აგრეთვე: სლასტუშინსკი, ესმერალდა და სხვ.

ანონსი: მზადდება ბენეფისი სლასტუშინსკისა.

დასაწყისი 8 ნახ. ს. დასასრული 11 საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი ვ. ელიზაროვი 995

**ვეძებ ოთახს** ვერის და მთაწმინდის რაიონში, მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, იკითხეთ „სახ. საქმის“ რედაქციაში ქრისტ. რაჭველიშვილი. 1302

**ექიმი** მ. ზ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკზდის ქ. № 19. 992

**ტფილისის** ქალთა პროფესიონალური 5 კლასიანი სკოლა პაატაშვილისა აცხადებს მოწაფეების მიღება შეიძლება ყოველ დღეს დილის 9—საათიდან საღამოს 6 საათამდის. სწავლა დაიწყება სექტემბრის 20 ახალ სტილით, სწავლა იქნება ქართულ და რუსულ ენაზე. შესწავლა ყოველგვარ ხელსაქმესი, ჭრაკერვა, ხალიჩების ქსოვა ფეხსაცმელებისა და სხვა და სხვა ქარგვისა. ნიკოლოზის და ჩერქეზიშვილის კუთხე 2/14. 966


ტფილისი, სექტემბრის 12

**უთავო თავები**

ადგილობრივმა პრესამ უკვე მიაქცია ყურადღება იმ ყრილობას, რომელიც დღესაც მუშაობს საქართველოს ძველს ქალაქში—ტფილისში. გუშინ მკითხველი იმასაც წაიკითხავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დაავალა, რათა რესპუბლიკის სახელით მიესალმოს ყრილობას. ეს ფრიად სასიამოვნო და მართლა დიდმნიშვნელოვანი ყრილობა გახლავთ ამიერ-კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა.

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ქალაქთა გაერთიანების იდეას, ვინაიდამ სწორედ ეს მხარეა როგორც პრესის, ისე საზოგადოების მიერ ყრუდ დატოვებული. რამდენი წელიწადია ჩვენ ამ სისტემაზე გვილაპარაკია, რამდენი კამათი ყოფილა ამის გამო ატეხილი და ვფიქრობთ, ეხლა მაინც არ იქნება ჩვენი აზრი ყალბად გაგებული და დემაგოგიის საფუძვლად გამოყენებული. უნდა აშკარად ვსთქვათ: შეუძლებელია ხსენებულ სისტემით რისიმე გაკეთება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, არა თუ ამიერ-კავკასიის ქალაქებს, გაცილებით მეტ ტერიტორიალურ ერთეულის ქალაქებს მრავალი საერთო ცხოვრების პირობები აქვს. ჩვენი ცხოვრების პირობების აქვს. ჰგავს ქალაქი ქალაქს, მათ მრავალი საერთო მიზანი, საერთო წყარო, საერთო სამუშაო სისტემა აქვს. ამ ბუნებრივ გარემოებას ანგარიშს უწევთ, ამ საერთო მხარეებს ყურადღება უნდა მივაქციოთ, მაგრამ ამ შეერთებულ მუშაობასაც ესაჭიროება კულტურული მოტივი, სისტემის დასახვა, სისტემით მუშაობა. ატომისტურ პრინციპის შეტანა ქალაქების შეკავშირებაში ისევე უძლური და უარსაყოფი პრინციპია, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციებში. ქალაქების კავშირში, როგორც სამეურნეო ორგანოების კავშირში—ამ პრინციპის შეტანა კიდევ უფრო მავნებელია, რამდენადაც მუნიციპალური და ეკონომიური შემოქმედება ყველაზე მეტად მოითხოვს თავის ძალების დაწურვას ყოველის მხრივ და დეცენტრალიზმის პრინციპით მუშაობას.

ქუთაისის ქალაქის წარმომადგენელი ბ-ნი კალანდარიშვილი მართალი იყო, როცა გონივრულ დეცენტრალიზმის, უკეთ, ფედერალიზმის გზას დაადგა და მოითხოვა არა ამიერ-კავკასიის ქალაქების ყრილობის გამოცხადება, არამედ საქართველოს ქალაქების ყრილობის გამოცხადება. რასაკვირველია ბ-ნ კალანდარიშვილს არ დავიწყებია არც საქალაქო ინსპექცია, სანიტარია, მედიცინა, ეკონომია, განათლება და სხ. და სწორედ იმიტომ, რომ ამ საქმეების მოსავლიანობლად გამოყენებული იქმნის მაქსიმუმი ეროვნულ და ინტერნაციონალურ ენერგიისა—ამიტომ ქუთაისის ქალაქის თავთან ერთად ჩვენც მოვითხოვთ საქართველოს ქალაქების კავშირს და ამ კავშირის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოს ქალაქების კავშირთან.

თვით საქმისათვის საჭიროა ჩვენთან იყოს დაკავშირებული არა მარტო ერთი ქალაქი სხვა სახელმწიფოსი, არამედ მთელი კავშირი ქალაქებისა. რომ ეს ერთად ერთი სწორი გზაა მუშაობისა დაგვიმტკიცა ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ მთლიანობის დარღვევამ და მას შემდეგ, რაც ეს მთლიანობა დაირღვა, ფორმალური პირობაც არ აძლევდა ნებას ინიციატორებს, რომ ახალი ქიმერა შეექმნათ ამიერ-კავკასიის ქალაქების კავშირის სახით.

სამწუხაროდ, ამიერ-კავკასიის ქალაქების თავებმა დაივიწყეს ყოველივე ეს გარემოება და აზრიანად დასახეს, რაც ყველამ აღიარეთ უაზროდ. ვისურვებ, რომ ჩვენი ქალაქების თავებს ამიერიდან მაინც მიეგნოთ სწორი გზა მუშაობისა და ეგრედ წოდებულ ნაციონალიზაციის, ე. ი. ეროვნულ ქალაქების კავშირით დაეწყოთ სხვა კავშირების შექმნა და მუშაობა.

## გაეროვნება

გაეროვნება, სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, ორმხრივ უკმაყოფილებას იწვევს. ბევრი სამდურავს გამოსთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის მართვა გამგეობის გაქართულება არ ხდება ჯეროვანის ყურადღებით და სისწრაფით, რომ ზოგ დაწესებულებაში ეხლაც ყველაფერი ისეა, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო—იგივე რუსული ლაპარაკი და მიწერ-მოწერა, იგივე რუსული ბიუროკრატიული სული.

მეორე უკმაყოფილება სულ წინააღმდეგი ხასიათისაა. ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე დარჩენილი არა ქართველობა მეტად გამწყრალია და დიდს საყვედურს აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა ეპატრონება ყველაფერს საქართველოში, რომ ქართველი ერი მმართველი ერი შეიქნა, უნდა გააქართულოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ვერ ვიტყვით, რომ საერთოდ ყოველი არა ქართველი ასეთი იყოს, ასე უცქეროდეს ჩვენს აღდგენას, მაგრამ უეჭველი დიდი უმრავლესობა საქართველოს არა ქართველი მოხელეობისა დღეს დღეობით ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგი და მტერია და ყოველის საშუალებით ცდილობს ხელი შეგვიშალოს და დაგვაბრკოლოს. ამ უკმაყოფილოთა მთავარ ძალას წარმოადგენს რუსის მოხელეობა და სომხის ბურჟუაზიული წრე. ერთიც და მეორეც წინად გაბატონებული იყო ჩვენში, ყველაფერი მათ ეკითხებოდა, მათის ნებით და ბრძანებით კეთდებოდა და ეხლა რომ ბატონობა ჩამოერთვათ და ბევრი მათგანი უადგილოთაც დარჩა, გრაზმორეულები არიან, ცეცხლს აფრქვევენ და წყევა-კრულვით იხსენიებენ, რასაც ქართველი ხალხის თავისუფლების ნიშანი და ფერი აქვს...

აქ ყველაზე უფრო საყურადღებო რუსის გარიყულ ბიუროკრატიის გამოლაშქრებაა. მას იდეური ხელმძღვანელებიც გაუჩნდა—მოსოციალისტე ადამიანები, მარტის სოციალისტები, რომლებიც რამდენადაც წინად განსვენებული ნიკოლოზ რომანოვის მოტრფიალენი იყვნენ, იმდენად დღეს მემარცხენეობას ჩემულობენ და ცდილობენ მაღალი სიტყვების რახა-რუხსა და ბურუსში გაახვიონ თავისი პარადი და შოვინისტურ-იმპერიალისტური წადილები. ადამიანები, რომელთაც წინად თავის პროგრამის პატარა შენიშვნაშიც არ აგონდებოდათ საქართველოს თავისუფალი არსებობა, რომლებიც ჩვენს გვერდით იყვნენ, კარგად ხედავდნენ ჩვენს გასაჭირს და გამწარებას და ხმის ამოღებაც კი უჭირდათ ქართველ ხალხის უფლებისა და ღირსებისათვის,—დღეს საყვედურს გვეუბნებიან იმისთვის, რომ საკუთარ ფეხზე დავდექით და თუმცა მეტად გვიძნს, მაგრამ მაინც ყოველის საშუალებით ვცდილობთ თავს უპატრონოთ და ჩვენი საქმეები ისე მოვაწყოთ, როგორც უკვე შეეფერება ჩვენს ინტერეს და საჭიროებას! განა აქ გარდა შიშველი შოვინიზმისა და სხვისი დამონებისა რაიმე არის?

გვისაყვედურებენ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში გვინდა სკოლის, განათლების, ყოველნაირ დაწესებულების გაქართულება, გვინდა, რომ ქართველის ნიჭს, ქართულს შემოქმედებას ფართო თავისუფალი სარბიელი მივსცეთ—და მერე ეს სასაყვედურო და დასაძრახისია? განა დამოუკიდებლობა იმისთვის გვწადდა, რომ ცარიელი უშინაარსო სიტყვა ყოფილიყო და არავითარი ნამდვილი სარგებლობა არ მოეტანა ქართველი ხალხის წარმატებისათვის? ჩვენ თუ თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და შევხარით დღეს მის განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დამოუკიდებელი ეროვნული არსებობა სავსებით გაშლის ქართველის უნარს, გონებას და ქართველი ხალხი საუკეთესოდ დაიკმაყოფილებს ყოველ მოთხოვნილებას. ქართველის გამოსვლა ყოველნაირ ასპარეზზე—საუკეთესო თავდებია მისი ყოველმხრივი განვითარებისა და თუ ნაციონალიზაციას ვახორციელებთ, იმიტომ, რომ უამისოთ წარმოუდგენელია დამოუკიდებლობა, თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. წარმოუდგენელია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში, ქართველი ერის სახელმწიფოში ქართული ენა, ქართველის კულტურა არ იყოს გაბატონებული, ქართველის ნებისყოფა არ იყოს განსახიერებული.

კარგად ვიცით, რომ ზოგისათვის არა სასიამოვნოა, სამძიმარია, მაგალითად იმ რუსობისათვის, რომელიც ჩვენში დარჩა. მაგრამ რომელი ჭკუათამყოფელი ადამიანი იტყვის, რომ რამდენისამე ათას და ათიათას რუსისათვის ქართველმა ხალხმა ხელი უნდა აიღოს თავისუფლებისა და განვითარებაზე? რუსეთი ეხლაც ვრცელია, რუსისჯერს ეხლაც ფართო ქვეყანა აქვს და მას ეროვნულ მუშაობას თავისი სამშობლოში, თავის მიწაწყალზედაც დიდად შეუძლია გაშალოს ფრთები და დაუბრკოლებლად დაწინაურდეს. ჩვენ—ქართველობას კი ერთი პატარა ტერიტორია გვაქვს, აქ გვინდა მოვაწყოთ თავისუფალი ცხოვრება ეროვნული შემოქმედების წარმატებისათვის და აშის დანებებაც კი არა სურთ, ესეც შურთ, არ ემეტებათ ჩვენთვის და გვედავებიან, აქაც ამ თქვენს პატარა მიწაზედაც წილი დაგვიდევითო!.. განა ეს შესაწყნარებელია? განა რაიმე სიმართლის ნასახი მოიპოვება ამაში? თუ ეს იგივე ძველი მოძალადეობა და ურცხვობაა?

მაგრამ ამაოა ყოველი ასეთი ცდა. კბილებით დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას და არავის მივსცემთ ნებას წინ გადაეღობოს ქართველი ერის თავისუფალ განვითარებას.

სამსონ ფირცხალავა.

## მთავრობაში

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: თელავის არა ქართველ მოქალაქეთ ნება დართოს გახსნან გიმნაზია თავისი ხარჯით თანახმად საერთო წესისა.

—

განათლების მინისტრის ამხანაგის მოხსენებით დადგენილია ხონის საოსტატო სემინარიასთან გაიხსნას ორი პარალელური კლასი. სათანადო ხარჯების დასაფარავად გაიხსნას განათლების მი-

ნისტრ, 18,625 მან. კრედიტი 10 მილიონიან ფონდიდან.

დადგენილია სახალხო განათლების მინისტრს გაეხსნას ათი მილიონიან ფონდიდან 1740 მანეთის კრედიტი ბათომის გიმნაზიის ლიკვიდაციის დასასრულებლად.

—

დადგენილია სახალხო განათლების მინისტრს გაეხსნას 10 მილიონიან ფონდიდან 4,200 მან. კრედიტი ქუთაისის ქალთა საზოგადოების საპროფესიო სკოლის დასახმარებლად.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს 10 მილ. ფონდიდან 1,604 მან. 61 კაპ., რომელიც მან გაიღო ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ყოფილი რწმუნებულის ბორჩალოს მაზრაში ხარჯების დასაფარავად.

—

დადგენილია: დაარსდეს კომისია შინაგან საქმეთა, იუსტიციის და შრომის სამინისტროებთან, რომელმაც მცოდნე პირთა დახმარებით უნდა გამოარკვიოს საკითხი უქმე დღეების შესახებ.

დადგენილია დაევალოს შინაგან, ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის და გზათა მინისტრებს გამოარკვიონ საკითხი გასატან საქონელზე საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ.

—

დადგენილია დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოადგინოს კანონ-პროექტი ამ გადასახადებიდან შემოსულ თანხის ქალაქთა საჭიროებისათვის მოხმარების შესახებ.

—

დადგენილია: გაუქმებულ იქმნას სპარსეთის საზღვარზე რუსეთის კომისარიატი· სალიკვიდაციო ფული არ მიეცემა.

სამხედრო მინისტრის მოხსენებით დაადგინეს: მიეცეს სამხედრო მინისტრ 20,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში წესდებათა გამოსაცემად.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს გერმანიის დელეგაციას სესხად ერთი მილიონი მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან.

—

დადგენილია მოისპოს სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახებისათვის სასურსათო დახმარება და სათანადო კრედიტი დაიხუროს.

—

დადგენილია: მიეცეს ფინანსთა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 36,710 მან. სახაზინო პალატის ხაზინის მოსამსახურეთა და ხარკის ინსპექტორთა დასაკმაყოფილებლად.

—

მოწონებულ იქმნა მოხსენება და კანონ-პროექტი მიწათ მოქმედების მინისტრისა წყლის ძალთა გამოყენების შესახებ.

—

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეგზავნოს 10 მილიონიან ფონდიდან ქუთაისის გუბერნიის კომისარს ანარქიასთან საბრძოლველად 50,000 მან.

# უკანასკნელი ცნობები

**ალბულალი სექტემბრის 9.**

გენერალი წულუკიძე სამხედრო მინისტრს აუწყებს. სოფლელთა ჩხრეკის დროს აღმოვაჩინეთ 73 ვინტოვკა და 1453 ტყვია. ამ საღამოს კვლავ გამოვგზავნე ტფილისში ჯარში გასაწვევნი 114 კაცი. ხვალ კიდევ გამოვგზავნით. მანგლისის რაიონის კომისრები ჩემთან იყვნენ მოსალაპარაკებლად. სოფ. დიდთონეთში ჩაგვაბარეს ტყვიისმფრქვეველი. მცხოვრებნი მშვიდობიანად ისცევიან და მადლობის თვალით გვიყურებენ სიწყნარის ჩამოგდებისათვის. ბევრ დამნაშავე ელემენტებს გვაძლევენ.

**სექტემბრის 11.**

სექტემბრის 10-ს ჩხრეკის დროს სოფლელთ წავართვით 31 ვინტოვკა და 2581 ტყვია. მიწაში დამარხული 246 მანეთი ვერცხლის მანეთიანები აღმოვაჩინეთ. ჯარში გასაწვევებს ვგზავნი ტფილისის მაზრის უფროსთან.

**გენერალი წულუკიძე.**

# ეროვნული საბჭო

**სექტემბ. რის 10-ს სხდომა.**

კრება იხსნება 1 საათზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დღიური წესრიგი: 1) საბჭოს წევრის ი. მარუაშვილის განცხადებას ერ. საბჭოს წევრის თანამდებობაზე უარის თქმის შესახებ. 2) საბოლოო ტექსტი საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის შესახებ, მომხსენებელია ნიკ. ჩიგოგიძე. 3) საბოლოო ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის დროშის კანონისა, მომხსენებელია ნიკ ჩიგოგიძე. 4) გაგრძელება მსჯელობისა ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონის შესახებ, მომხსენებელია შ. მიქელაძე. 5) განხილვა კანონ პროექტისა—ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის გადიდების შესახებ, მომხსენებელია პ. ქავთარაძე. 6) განხილვა კანონ-პროექტისა სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ, მომხსენებელია ი. ბარათაშვილი.

**დ. ონიაშვილი.** კითხულობს საბჭოს წევრის ს. რ. ფრაქციის წარმომადგენელი ი. მარუაშვილის განცხადებას ეროვნულ საბჭოს წევრობის თავის დანებების შესახებ და დღიურ წესრიგს.

**ნ. ჩიგოგიძე** კითხულობს საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის და საქართველოს რესპუბლიკის დროშის საბოლოო კანონებს. კრება მცირე შესწორებებისა და აზრთა გაცვლის შემდეგ იღებს და ადასტურებს მათ.

**ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საკითხი.**

**თავმჯდომარე** კენჭს უყრის წინა კრებაზე შემოტანილ წინადადებას და იმ კანონის განხილულ მუხლებს—სადაც აღნიშნულია რაოდენობა უცხო ერთა წარმომადგენლებისა. კრება ადგენს, ყველას იმდენი ადგილი მიეკუთვნოს, რამდენიც კანონშია ნაჩვენები.

**გ. ქიქოძე** (ნ. დ.) როგორც წარსულ კრებაზედაც მოგახსენეთ, ქართველი ისრაელები ამ კანონის მიხედვით სხვა ერის წარმომადგენლებად არიან მოხსენებულნი. საკვირველია! იგინი თავს ქართველად სთვლიან, ჩვენ კი რად უნდა გამოვთიშოთ? შეიძლება ქართველ ისრაელთა მოწვევა, მაგრამ არა როგორც სხვა ერთა წარმომადგენლებისა, არამედ როგორც ჩვენი ერის სარწმუნოებით განსხვავებულ ნაწილისა.

**შ. მიქელაძე.** ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება ქართველ ისრაელებთან და მათ თავისი წარმომადგენლობა მოითხოვეს. აქ გაუგებარი არაფერია, რადგან თუ ქართველ მაჰმადიანთა მოწვევა შეგვეძლო, როგორც ცალკე ერთეულისა, ამ სახით ქართველ ისრაელთა მოწვევაც შეიძლება. (კენჭის ყრით სწყდება ქართველ ისრაელებისაგან ორი წარმომადგენელი იქმნეს მოწვეული).

**სპ. კედია.** იმ სტატისტიკის მიხედვით, რომლითაც თქვენ გიხელმძღვანელიათ კანონის შედგენის დროს, ებრაელთა რიცხვი 20,000 ნაჩვენები. თუ ეს ასეა, მათ არც ერთი კაცის ადგილი არ ეკუთვნის ეროვნულ საბჭოში.

**შ. მიქელაძე.** როგორც წინა კრებაზედაც მოგახსენეთ. სამანდატო კომისიამ სასურველად სცნო, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არც ერთი ერი არ დარჩეს ისე რომ წარმომადგენელი არა ჰყავდეს საბჭოში. ამიტომ ჩვენ სტატისტიკურ ციფრებთან ერთად ამ მოსაზრებითაც ვიხელმძღვანელეთ. (ეს საკითხიც კენჭის ყრით სწყდება: ებრაელებს 1 წამომადგენელის უფლება ეძლევათ).

**რ. გაბაშვილი.** (ნ.-დ.) თხოულობს ოსებისა და სომხების ის წარმომადგენელნი, რომელნიც უკვე არიან ეროვნულ საბჭოში, შევიდნენ იმ რიცხვში, რომელიც ახლად გადაწყვეტილ კანონით იქნება მოწვეული. კრებამ ეს წინადადება უარჰყო.

**სპ. კედია.** (ნ.-დ.) ამ საკითხის გადაწყვეტასთან ერთად აუცილებლად საჭიროა გადაწყდეს ენის საკითხიც. ეხლავე უნდა ვიქონიოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა ილაპარაკონ იმ უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებმა, რომელთაც ჩვენ მოვიწვევთ, რომ ისინი სათანადო მომზადებით აღჭურვილნი შემოვიდნენ ჩვენს ეროვნულ საბჭოში.

**თავმჯდომარე.** დღეს ამაზე მსჯელობა შეუძლებელია, ვინაიდან დღის წესრიგში არ არის შეტანილი. ეს საკითხი ფრიად სერიოზულია, თუ თანახმა იქნებით მომავალ კრების წესრიგში შევიტანოთ და მაშინ განვიხილოთ.

(კანონი მიღებული და დამტკიცებულია)

**ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის გადიდება**

**პ. ქავთარაძე.** ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფი 1917 წლის რუსეთის საერთო საფოსტო კანონის შემდეგ არ შეცვლილა. ვინაიდან გაიზარდა და გადიდდა ყოველგვარი გადასახადი და გაიზარდა აგრეთვე ფოსტის შესანახი ხარჯებიც, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ აუცილებლად გადიდებულ იქმნეს საფოსტო ტარიფი. ამის მიხედვით კომისიამ შეადგინა კანონ-პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად. მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც ყოველი დარგის საფოსტო წერილებსა და ამანათებს, ტელეგრაფსა და ტელეფონს გადიდებული და გაორკეცებული ტარიფი ედება. კრება ამ კანონს უკამათოდ და მცირე შესწორებით იღებს და ამტკიცებს.

**სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონი**

**ი. ბარათაშვილი.** ჩვენი სამშობლოს გარშემო არსებულ არევ-დარევათა წყალობით მრავალი რთული და საჭირბოროტო საკითხი წამოგვიყენა გადასაწყვეტად ჩვენმა დამოუკიდებლობამ საქართველო თავის ფარგალთა გარეშე ბრძოლას არ აწარმოებს, მაგრამ არის ჩვენში ისეთი შინაური აღრევა, რომელიც მოითხოვს თავის დროზე ზომების მიღებასა და შინაურ ბრძოლას ყოველგვარის საშუალებით. ასეთ აღრევათა წყალობით ჩვენ ვულკანზე ვსხედვართ, რომელიც მეტ სიფხიზლესა და გამჭრიახობას გვავალებს ჩვენს სახელმწიფოებრივობის დაცვისა და განმტკიცებისათვის. ერთი ასეთი დიდი საკითხი არის სპეკულიაციასთან ბრძოლა. სპეკულიაცია დღითი-დღე აუტანელი ხდება ჩვენში და საზღაპრო ხასიათს იღებს, რაიც მღელვარებით შემოსჩენია და დაღუპვის გზაზე აყენებს ჩვენს სახელმწიფოს. მართალია, სიძვირე და ნაკლებობა გასაკვირი არ არის დღეს, როდესაც უცხო ბაზრები დაცარიელებულია, განადგურებულია საწარმოვო დარგი და შეფერხებულია სატრანსპორტო დამოკიდებულება, მაგრამ ის, რაც ეხლა ჩვენში სპეკულიანტების წყალობითა ხდება, შეუწყნარებელი და აუტანელია. სპეკულიაცია განსაკუთრებით აუტანელი ხდება მშრომელი დემოკრატიისათვის რომლის ზრუნვად და შრომად დღეს ის გადაქცეულა, რომ როგორმე მშიერი არ მოკვდეს და პური იშოვოს: სპეკულიაციის ასეთ ალვირახსნილობის წინააღმდეგ საბრძოლველად მრავალი ზომა იქმნა მიღებული, დაარსდა საგანგებო რაზმი და სხვა. იუსტიციის სამინისტრომ უკანასკნელ ღონისძიების სახსარად შეიმუშავა კანონი, რომელიც მკაცრ ზომებზეა დამყარებული და რომელიც ახლავე მოგახსენდებათ. უნდა მოგახსენოთ, რომ თუ კი არსებობს კანონი ერთი კაცის მკვლელის კატორღით დასჯისა, მით უმეტეს უნდა დაისაჯოს ის, ვინც მოქალაქეებს ამშევს, და თავის ჯიბის საკუთლოდ ხელოვნურადა ჰქმნის სახელმწიფოს კატასტროფას.

მომხსენებელი კითხულობს კანონის მუხლებს.

**გრ. გველესიანი, იუსტიცისი მინისტრის ამხანაგი.** თქვენ იცით, რამაც გვაიძულა ამ კანონის შემოღება, სპეკულიაციამ ჩვენში უკიდურესობამდე მიაღწია და ამის წყალობით ხალხი სულსა ჰლაფავს სიძვირის მძაფრ ბრჭყალებში. მთავრობამ, იუსტიციის სამინისტროს სახით, შეჰქმნა ამ სპეკულიაციასთან საბრძოლველი კანონი. სანამ ამ კანონს მუხლობრივად განიხილავდეთ, მე საჭიროდ მიმაჩნია მთავარ დებულებათა ხასიათი მოგახსენოთ. ჩვენ ამ კანონში ოთხნაირ სასჯელს ვადგენთ, დანაშაულის მიხედვით კანონი სჯის 1) 1-დან 10 წლამდე კატორღით, 2) 100 მ—დან 10,000 მანეთამდე ჯარიმით, 3) რეკვიზიციით და 4) სავაჭრო ღირსებისა და უფლების ჩამორთმევით, ან დროებით, ან სამუდამოდ. ამნაირად ისჯება არა მარტო ის, ვინც სპეკულიაციის მიზნით ან საქონელს გადამალავს, ან რაიმე მახინაციებით მიმართავენ არამედ ისჯება ისიც, ვინც საპატიო მიზეზების გარეშე გააუქმებს თავის სავაჭრო დარგს. ამნაირად ჩვენ მხედველობაში მარტო ის კი არა გვაქვს, რომ ჩვენში სპეკულიანტები ავლაგმოთ, არამედ ისიც, რომ ჩვენში ვაჭრობა არ ჩამოქვეითდეს და ბაზარი არ დაცარიელდეს. ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, ჩვენი მეურნეობისა და აღებ-მიცემობის შეძლების დაგვარ დონეზე დასაყენებლად ვებრძოლოთ სპეკულიაციას. იმედი მაქვს ეროვნული საბჭო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ კანონს და გაატარებს ცხოვრებაში.

**ალ. ახათიანი.** (ნ.-დ.) სპეკულიაცია უდიდესი ბოროტ-მოქმედებაა, მას ყოველმხრივ უნდა ვებრძოლოთ. იურიდიულ კომისიას სასტიკი კანონი შეუქმნია, მაგრამ ამ ნიადაგზე მარტო რეპრესიები არავითარ ნაყოფს არ მოიტანს და მთავრობა მიზანს ვერ მიაღწევს. როგორც ვიცით, არსებობს განსაკუთრებული რაზმი, რომელიც ამ ნიადაგზე კარგა ხანია მოქმედებს, მან რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადასდგა, მაგრამ ტფილისში სპეკულიაცია არ მოსპობილა და იგი დღითი დღე უფრო იზრდება. დღევანდელ პირობებში შესაფერი ნიხრის შექმნა ყოვლად შეუძლებელია და თუნდაც ასეთი ნიხრის დაწესება მოახერხოთ, მიზანს მაინც ვერ მიაღწევთ. მე ვფიქრობ, რომ ასეთ საქმეებზე კანონების შედგენა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისაგან კი არ უნდა მოხდეს, არამედ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან. არ ვიცი რათა, მაგრამ ყოველ ასეთ კანონის შექმნის დროს, ეს სამინისტრო მუდამ რიყეზეა დარჩენილი. თუ მთავრობას მისი დღევანდელი შემადგენლობა არ მოსწონს, შეუძლიან შესცვალოს იგი. იურიდიული ნიხრი და კანონი კარგია, მაგრამ პოლიციური რეპრესიები საქმეს ვერ გააკეთებს. უმჯობესია, შეჰქმნათ, გააფართოვოთ და გააუკეთესოთ თვით ეკონომიური და სამრეწველო პირობები, რომ სპეკულიაციას აღარა ჰქონდეს ჩვენში ასპარეზი.

**მ. მაჩაბელი.** (ნ. დ.) სპეკულიაციას თუ შევებრძოლებით და ციხეებითა და კატორღით დავსჯით, გამოდის, რომ მაშინ მთელი საქართველო ციხეში უნდა იქმნეს დატყვევებული. ჩვენი ქვეყანა დემოკრატიულია და ისეთი კანონების შემოღება, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამ კანონში მოხსენებული სასჯელი, როგორცა სჩანს გლეხების საწინააღმდეგოდ არის—რადგან კანონში არ არის ნათქვამი, როგორი დანაშაულისთვის რა სასჯელს აძლევინებთ. პურის სიძვირე თავიდან იმიტომ ვერ აიცილეთ, რომ თქვენ გლეხებს მიწები დაურიგეთ და ის აუარებელი მოსავალი, რაც ამ მიწამ მისცა, გლეხებმა ჩაჯიბეს. მთავრობას მათთვის ღალა უნდა გადაეხდევინებინა და ეს ღალა ბაზარზე უნდა გამოეტანა, მაშინ პურიც გაიაფდებოდა. ეგეც არ იყოს, თქვენი კანონი ნაყოფს ვერ მოიტანს, რადგან შეადგენთ კანონს, დაჰპირდებით სასჯელს და არ კი დასჯით. თქვენ თუ გინდათ წესის დამყარება, აუსრულეთ ყველას, რასაც ჰპირდებით. ამასთანავე გაწვრთენით ის რაზმები, რომელთაც ამ საქონლის სისრულეში მოყვანას ავალებთ, რომ ბოროტმოქმედებას კიდევ ბოროტება არ მოჰყვეს.

**რ. არსენიძე.** (ს. დ.) არც ერთი სახელმწიფო არ არის ისეთი იდეალური, სადაც ყველა დამნაშავე დასჯილიყოს. მაგრამ თუ არსებობს კანონი ამ ბოროტმოქმედთა ნაწილი, მაინც ისჯება. ყველა ბოროტმოქმედმა უნდა იცოდეს, რომ ის თავის დანაშაულისთვის პასუხს აგებს განსაზღვრულ შემთხვევაში მაინც. სპეკულიაცია უდიდეს ბოროტებად უნდა ჩაითვალოს, მას ბრძოლა უნდა. აქა სთქვეს, შეჰქმენით ისეთი ეკონომიური პირობები, რომ სპეკულიაცია თავისით მოისპოს. კაი რეცეპტია. მაგრამ როგორ შეიძლება ვინმე სთქვას, რომ ასეთ აწეწილ დროს რამდენიმე თვეში შეჰქმენით ნორმალური ეკონომიური პირობები! საქართველო არ იბრძვის, მაგრამ მას გარს არტყია, მეომართა ალყა, რომელიც დედამიწის მეექვსედს შეადგენს, ყველგან, ჩვენს გარშემო უწესოებაა და ჩვენი სახელმწიფო გარშემორტყმულ ციხესა ჰგავს, რომელმაც უნდა შინაგანი ძალა და ენერგია თანაბრად და სათანადოდ გაანაწილოს. და სწორედ ეს კანონი არის სისტემა, რომლის საფუძველზედაც უნდა აშეიდეს ნორმალობის საქმე. ხოლო როცა ნორმალური ეკონომიური პირობები შეიქმნება, როგორც აქ გვასწავლიან, მაშინ ასეთ კანონების წერაც აღარ დაგვჭირდება. ჩვენ ამ კანონში მხედველობაში გვქონდა აშკარა სპეკულიაცია და არა სოფლელი გლეხი, რომელსაც რამდენიმე კოდი პური მოსვლია. თქვენ საზოგადოდ ჩვეულებადა გაქვთ, როცა ერთ საკითხზე ვმსჯელობთ, მეორეზე გველაპარაკებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ სამუდამოდ სპეკულიაციასთან ბრძოლაზე.

**თავმჯდომარე.** მოაგონებს კრებას, რომ ეხლა უკვე ოთხი საათი სრულდება და კრების შეწყვეტის დროა. კამათი შემდეგის კრებისათვის გადაიდო. თავმჯდომარის წინადადებით შემდეგი კრება ამ კანონის განხილვის შემდეგ პირდაპირ გადავა ა. ახმეტელის შეკითხვის განხილვაზე.

# ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი**

**ბერლინი.** 9—10. მტერმა შემოვვიტია მერკენის ჩრდილოეთით და იპრის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით და ზოგიერთი თხრილები ხელთ იგდეს. პერონ—კამბრეს გზით ინგლისელთა იერიშები გძლიერდება. მათი მთავარი იერიში მუზიკურ—ენერისკენ იყო მიმართული. იერიშები მოვიგერიეთ. საღამოს ინგლისელებმა იერიშები განაახლეს ტყიდან, გავრინკურტთან და პერონ—კამბრეს გზის სამხრეთით. ჩვენ იგინი მოვიგერიეთ. გოლნონის ტყესთან (ვერყანის სამხრეთით) და გამ-კენტინის გზით მტერს ნაწილობრივი იერიშები მოაქვს. უაზოზე ბრძოლა გრძელდება. ელეტის ჩრთილოეთით, ელეტსა და ენს შუა შუადღეზე საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. იერიშები საღამომდე გაგრძელდა, ჩვენ ყველა მოვიგერიეთ: განსაკუთრებით ისახელეს თავი ბრანდებურგის გრენადერებმა. ფრანგების იერიში ენსა და ვესლას შუა მოვიგერიეთ. რეიმსის აღმოსავლეთის და პაროის სამხრეთით, ლოტარინგიის ფრონტის და აგრეთვე დოლერზე გერმანელები ბრწყინვალედ აწარმოებენ იერიშებს.

**პარიზი.** 9—10 ეიფელის კოშკიდან ფრანგების ჯარი ბრწყინვალედ მიიწევს წინ, მიუხედავად გერმანელების მედგარი წინააღმდეგობისა. მათ გაიარეს გინაკური, მოიგერიეს კონტრ-იერიში ებინი—ლე—გრანთან. მთელ გზაზე, ლიაფერიდან კვენტინამდე ბრძოლა გაჩაღდა. სოფ. ტრავესი ფრანგებმა აიღეს. უაზის სამხრეთით ლიაფოს მიდამოებში ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელების კონტრ-იერიშები. ვოჟთან გერმანელების იერიში მოვიგერიეთ.

**ვენა.** 9—10. იტალიის ფრონტზე ორივე მხარე ზვერვას აწარმოებს.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** 9—10. ჩვენ პოზიციებზე საარტილერიო ბრძოლაა. უკან მდებარე პლატოზე ჩვენმა არტილერიამ სროლა აუტეხა მტრის ბანაკს იერიხონთან და ხიდის წინა მთავარ ნაწილს.

აფრიკაში აგვისტოს განმავლობაში მტრის ორი იერიში მოვიგერიეთ ბომსიდან. მთელ ფრონტზე გრძელდება მოქმედება.

# ახალი ამბავი

**პური.** უახლოეს დროში უკრაინიდან და რუმინიიდან ხორბლეულს მოელიან, როგორც ადგილობრივი ცხოვრებთათვის, აგრეთვე გერმანელთათვის,

**ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელნი.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ჩრდილოეთ კავკასიის მთიულთა წარმომადგენელნი, რომელნიც გერმანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ წესრიგის აღდგენის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველოს რკინის გზაზე წესიერების დამყარების თაობაზე.

**ხალილ-ფაშამ სომხეთის კათალიკოსი** ინახულა, რომელთანაც ჰქონდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ სომხეთის მცხოვრებ სომხების და მაჰმადიანების შორის მშვიდობიანობა დამყარდეს.

**კავკავის ამბები.** კავკავიდან ჩამოსული მოგვითხრობს, რომ ქალაქი „ბოლშევიკების" ხელშია, ყოველ დღეს ბოლშევიკები ჩხრეკენ ბინებს და რაც ძვირფასი ნივთებია, მიაქვთ თან, აგრეთვე ძარცვა-გლეჯვა ძლიერ გავრცელებულია. დიდი სიძვირეა ქალაქში. გირვანქა პური ხუთ მანეთად იყიდება.

**გერმანელთა სამხედრო მისია** იტყობინება, რომ ის ღებულობს ფულს ავსტრიის და გერმანიის ბანკებში გასაგზავნად. ფული ყოველ დღე მიიღება 12 საათიდან $1^{1}/_{2}$-მდის. გოლოვინის პროსპ. საინტენდანტო განყოფილება.

ტფილისის ზოგიერთ გაზეთში იყო ცნობა, რომ გერმანელებს საქართველოდან სურსათი გააქვთ. ამისთვის გერმანელთა მისია აცხადებს, რომ მას არავითარი სურსათი არ გაუტანია.

**ქართულ-გერმანული საზოგადოების კრება** დღეს, საღამოს 8 საათზე ფრეილინის ქ. № 11 შესდგება ქართულ-გერმანულ, კულტურულ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი კრება.

**პადპორუჩიკი ევსევი ჩიქვანაია** ამა წლის თებერვალში იუწყებოდა დეპეშით ქ. ოდესიდან, რომ ის იქ იმყოფება. შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცით. ვინც იცით, უმორჩილესად გთხოვთ ან გაზ: „ალიონში", ანდა წერილობით მაცნობოთ დ. ნაოლალევში, რითაც დიდად დამავალებთ და ას მანეთს იმ დაწესებულებას შევწირავთ თქვენს სახელობაზე, რომელსაც გვიჩვენებთ. პატივისცემით კესარია ჩიქვანაია.

**სარკინიგზო კომიტეტების გაუქმება.** გზათა მინისტრმა ი. ლორთქიფა-

ნიძემ შემდეგი ბრძანება გასცა საქართველოს რკ. გზების უფროსს: „თანახმად მთავრობის დადგენილებისა სარკინიგზო კომიტეტებს ერთმევათ ადმინისტრატიული ფუნქციები და მათ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიანთ რკ. გზის ადმინისტრატიულ საქმეებში ჩარევა. მათ რჩება მხოლოდ პროფესიულ კავშირთა უფლება-მოვალეობანი. გაუწყებთ-რა ამას, უბრძანებ ყველა უფროსს და გამგეს შეუფარდოს თავისი მოქმედება და განკარგულება მხოლოდ გზათა სამინისტროს მიერ გამოცემულ კანონებს და ინსტრუქციებს. ზემოხსენებული საყოველთაოდ გამოაცხადეთ მთელ რკ. გზაზე“.

◆ **დეზერტირები.** სექტემბრის 10 გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა ქართულ სამთო არტილერიის 19 ჯარის კაცი, რომლებმაც სახაზინო საქონელი მოიპარეს და გაიქცნენ.

◆ **ქურდობა.** ქართულ მე-10 პოლკის ჯარის კაცებმა ა. ჯავახოვმა, ერტერ არუთინოვმა და ს. აკოპოვმა პოლკის „ცეიხ-გაუზი“ გაქურდეს. სამივე დატუსაღებულნი არიან.

◆ **გაძარცვა.** ღამით, სექტემბრის 10-ს მიხეილის ქუჩაზე № 109 ოჰანეზოვის ბინაზე შევიდნენ შეიარაღებულნი ბოროტმომქმედნი. აქ ვახშმობდნენ ოჰანეზოვი, რობაქიძე და ფირალოვი, ამათ წაართვეს ფულად და ძვირფასი ნივთები სულ 19 ათასი მან.

◆ ფოსტის მოხელე იანქოშვილის ბინდან ბოროტმოქმედებმა გაიტანეს 15 ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები და ფული.

◆ **ბაქოს ჯარი.** კერძო ცნობებით ბრიტანიის საექსპედიციო კორპუსის ბაქოს რაზმის ნაწილი დერბენტსა და პეტროვსკში გაიგზავნა ზღვით, ჩრდილო კავკასიასთან კავშირის დასაჭერად. რაზმს ბაქოდან ბიჩერახოვიც გაჰყვა. ოსმალეთის მიერ შედგენილმა დაღესტნელების რაზმმა ზღვის სანაპირო დაიკავა დერბენტსა და პეტროვსკს შუა.

◆ **საფულეს პოვნა.** ამხ. აკაკი პაპავამ ვაგზლისაკენ ტრამვაიში იპოვნა ქალის საფულე. დამკარგველს შეუძლიან მოიკითხოს „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

## სოფლად და ქალაქად

**სურამი.**

◆ ამ ორი თვის წინ „მანდილოსანმა“ მსურველთათვის, მოაწყო ფეხსაცმელის სამკერვალოს კურსები. სწავლობდა 40 ქალი, პირველმა წყებამ სწავლა უკვე გაათავა. ამ დღეებში სწავლა-მუშაობა დაიწყო მეორე წყებამ. ამჟამად სწავლობს 34 ქალი, მათ შორის ორი მამა კაცი. სწავლის ფულად „წევრებს ახდევინებენ 75 მ. არა-წევრებს 150 მან. უფასოდ სწავლობს 10 ხელმოკლე ქალი. ქალები დიდ ხალისს და უნარს იჩენენ მუშაობისას და „მანდილოსანის“ მესვეურნიც საქმეს თავს ერთგულად დატრიალებენ.

◆ ქალაქს უკვე დაეტყო მზრუნველის ხელი, ქუჩები ლამაზად დასუფთავებულია. წეს-რიგში მოჰყავთ ქალაქის როგორც გარეგანი, ისე შინაური მხარე.

◆ 15 მარიამობისთვეს ღამე ვიღაც შეუვარდა თავის სახლში რ. ბროძელს და ხანჯლით თავი გაუხეთქა შუაზე. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, ხუთშაბათს, სექტემბრის 12, პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ამხ. **ალ. ემდივანის** მოხსენების გაგრძელება თემაზე: „საქართველო და გერმანია“. შემდეგ კამათი. კრების დასაწყისი სალ. 8 ს. (ახ. სტ.)

—

ხუთშაბათს სექტ. 12 დანიშნულია კუკიის, ერთობის უბნის და წმ. ნინოს უბნის ამხანაგთა საერთო კრება. განსახილველია სეკონფერენციო საკითხები და ასარჩევია დელეგატები კრების დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე. (ახ დროით.) კრება მოხდება სასულიერო სასწავლებლის შენობაში. ჩერქეზიშვილის ქუჩა. № 22.

—

**კრება ახალქალაქში.** პარასკევს, ენკენისთვის 13-ს დანიშნულია სარაიონო პარტიული კრება ახალქალაქში. წინარების ამხანაგებს ვსთხოვთ წარმომადგენელი გამოგზავნონ.

**მეჯვრისხევი.** პარასკევს, ენკენისთვის 13-ს, დანიშნულია პარტიული კრება მეჯვრისხევში. სანდრო კასრაძეს ევალება დასწრება.

## სამეგრელოსკენ

**აგვისტოს 27.**

ესლა გვაკლდა, რომ სამეგრელოშიაც ფრონტი გამოგვჩენოდა თითქოს საკმარისი არ ყოფილიყოს საქართველოს სხვა კუთხეებში მომხდარი სამწუხარო ამბები:

რას იზამ? ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენი ქვეყნის მტრებმა და ხალხის ნაძირალებმა იმდენი იმუშავეს, რომ სამეგრელოც აამხედრეს დემოკრატიულ რესპუბლიკისა და მის კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ.

აგვისტოს პირველ რიცხვებში აჯანყება იმდენად გაიზარდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა სამეგრელოში ჯარი გაეგზავნა პოლკოვნიკის დავით სრესელის უფროსობით, რომელმაც მხოლოდ ზოგიერთ მოტყუებულ სოფლის დამორჩილება მოასწრო ორის კვირის განმავლობაში.

თუ რამდენიმე სოფელმა მორჩილება გამოაცხადა მთავრობისა და იარაღიც დაჰყარა, სამაგიეროდ დანარჩენ სოფლებში, განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრაში და მის მოსაზღვრე სენაკის მაზრის სოფლებში, აჯანყება უფრო გაიზარდა და ისეთი საშიში და ფართო ხასიათი მიიღო, რომ საჭირო გახდა განსაკუთრებულის ზომების მიღება და ფართო სამხედრო მოქმედების დაწყება აჯანყების სწრაფად და საბოლოოდ ჩასაქრობად.

ამ მიზნით ტფილისიდან სამეგრელოს საჩქაროდ გაიგზავნა დუშეთის ფრონტიდან ახლად დაბრუნებული სახელოვანი პარტიზანული პოლკი გენერლის იოსებ გედევანიშვილის უფროსობით.

ეს პოლკი ტფილისიდან აგვისტოს 27-ს გამოვიდა. მეც მას გამოვყევი, როგორც კორესპონდენტი. ამავ პოლკთან მე აპრილშიც ვიყავი ოზურგეთთან, თათრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

სულ სხვა იყო მაშინ! თუ იმ დროს მანუგეშებელ ვარსკვლავად მევლინებოდა ჩემი სამშობლოს მოსალოდნელი განთავისუფლება და ვერაგ მტერის მოგერიება, ეხლა გული მწუხარებით მეკუმშება და თითქოს ვერ შევრიგებივარ იმ აუცილებლობას, რომ თოფითა და ზარბაზნით უნდა შევაგნებინოთ ჩვენს შემცდარს ძმებს თავისი საისტორიო დანაშაული რევოლიუციისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენი მამაცი და ბრძოლაში გამარჯვებას ჩვეული რაზმელნიც კარგად გრძნობენ ამას და მომდურავნი არიან ბედისა, რომელმაც აუცილებლად გახადა მათი შეტაკება სიმართლის გზას ამცდარ ძმებთან.

— ღმერთო, უსისხლოდ გაათავე ეს საქმე,—იძახის ერთი.

— ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც რაიმე ჯილდო, ან ჩინი ინდომოს ასეთ შინაურ არეულობის ჩაქრობისათვისო,—უმატებს მეორე.

— ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ორი, ან სამი მეთაური არ დავიჭირო და ხელფეხ-შეკრული ტფილისში არ ჩამოვიყვანო ჩვენის შეუგნებელ ძმების მოტყუებისთვისო,—ნატრულობს მესამე.

ამ ფიქრებითა და საუბრით გამოვედით ტფილისიდან.

**აგვისტოს 28.**

მეტად მძიმე და მოსაწყენია ახლანდელი მგზავრობა რკინის გზით. მატარებელი კუს ნაბიჯით დადის და ყოველ პატარა სადგურზე ჩერდება არა ნაკლებ 2—3 საათისა. თვით ტფილისის სადგურზე სრული 12 საათი ვიცადეთ.

გზაზე არაფერი საინტერესო არა არის რა. სიძვირე ხომ ახალი ამბავი არ არის? ჩვენ სამხედრო მატარებლით მივდივართ და მაშასადამე გარეშე მგზავრებიც არ არიან ჩვენთან, რომ სხვა და სხვა გვარ მუსაიფში გავერთოდ.

**მოხარშული ვანო.**

ეს მოხარშული ვანო დუშეთის გმირია. მისი გვარი რამაზოვია (სომეხი). მას და მის მამას დუშეთში დუქანი ჰქონიათ. როდესაც დუშეთში ბალშევიკებას ბრბო შემოსულა, ვანო რამაზოვი, რომელსაც დუშეთში მოხარშულ ვანოდ იცნობენ, ამ ბრბოს შეკედლებია და ყოველგვარი სამსახური გაუწევია. მისი თავხედობა იქამდე მისულა? რომ შეუდგენია სია დუშეთის მცხოვრებლებისა და ბალშევიკების შტაბისთვის წარუდგენია, ესენი დასახოცნი არიანო. სიაში, სხვათაშორის შეუტანია ყველა წევრი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დუშეთის განყოფილებისა, მაგრამ მისთვის ბედს უმტყუნია და ჩვენს ჯარებს დუშეთიდან ბრბოები დროზე გაურეკიათ. ვანო რამაზოვს მეტი გზა აღარ ჰქონია და დუშეთიდან გამოქცეულა. რათა თავიდან აეცილებინა დამსახურებული სასჯელი, იგი თურმე ხაშურში იმალებოდა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა, როდესაც აგვისტოს 28-ს ხაშურში გამოვიარეთ, ჩვენმა რაზმელებმა მას თვალი მოჰკრეს სადგურზე, შეიპყრეს და ხაშურის მილიციას გადასცეს.

**აგვისტოს 29.**

ამ დღეს დილით ძლივს მივაღწიეთ რიონის სადგურს. აქ დაგვიხვდა პირველ ქართულ მსროლელ დივიზიის უფროსი გენერალი ართმელაძე და ქუთაისის საგუბერნიო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი. გენერალი ართმელაძე მიესალმა ჩვენს პარტიზანულ პოლკს და იმედი გამოსთქვა, რომ ეს შეგნებული და მამაცი პოლკი შესძლებს დაკისრებულ საქმის კეთილად შესრულებასო.

ამავ დღეს საღამოს მივედით ახალსენაკს, სადაც დავბინავდით და საიდანაც უნდა დაიწყოს სამხედრო მოქმედება სამეგრელოში.

**რ. ბ—ლი.**

## გორის მცხოვრებლებს

1879 წელს ამიერ-კავკასიის სამოსწავლებლო სემინარიასთან გორში თათრული განყოფილება გაიხსნა. ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით იგი ამ ჟამად მუსულმანთა სემინარიად გადაკეთდა და ყაზახში იქნება გადატანილი, ჩემი საუკეთესო წლები ამ სემინარიაში გავატარე: ჯერ მოწაფედ. შემდეგ კი რჯულის მასწავლებლისა და ინსპექტორის თანამდებობაზე. ეხლა მე შემთხვევა მეძლევა ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქალ. გორის მცხოვრებლებს, განურჩევლად ეროვნებისა, იმ კეთილი განწყობილებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მუსულმან მოწაფეთა და მასწავლებელთადმი. მშობელ კერას მრავალი წლით ვიყავით მოწყვეტილი, მაგრამ უცხო ქვეყანაში მწუხარებას არ ვეძლეოდით და ქართლის შუაგულში თავისუფალ მოქალაქეებად ვგრძნობდით თავსა: თათრული განყოფილება გორში ორმოც წელს არსებობდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ უმნიშვნელო შეურაცხყოფა მიეყენებინოსთ ჩვენ ეროვნულ გრძნობებისათვის. სემინარიის ქრისტიან და მუსულმან მოწაფეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა მუდამ კეთილი და ძმობრული იყო. თათრული განყოფილება სტოვებს გორს და თან მიაქვს ადერბეიჯანში საუკეთესო მოგონებანი და გულწრფელად უსურვებს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას აყვავებას.

**ინსპექტორი კოჩარლინსკი.**

## სიმართლე ალგულალის ამბების შესახებ.

(შემდეგი)

მარიამობისთვის 25 საღამოს მეექვსე პოლკის უფროსს—პოლკოვნიკ საგინოვს შეატყობინეს, ამაღამ დაეცემიან პოლკის ტანსაცმელის საწყობს და გასძარცვავენო. საწყობს ყარაულობდა სამი დაქირავებული კაცი. პოლკში ჯარის კაცები ცოტა იყო, მდგომარეობა კი საშინელი. საწყობს ხსნა უნდოდა და ეს ძნელი იყო. პოლკის უფროსმა მოაგროვა ყველა ოფიცერი 30 კაცამდე და ღამის 9 ნახევარ საათზე წავიდა საწყობთან, რომელიც დასახლებული ადგილიდან მოშორებით სდგას პატარა გორაკის მახლობლად. ექვს ოფიცერს ჰქონდა ვინტოვკა, დანარჩენებს ზოგს მხოლოდ რევოლვერი და ზოგს სულ არაფერი. აფიცრებმა დაათვალიერეს საწყობი, რომელიც მთელი აღმოჩნდა და შეჯგუფდნენ იქვე ახლოს; ლაპარაკობდნენ, თუ როგორ გადაერჩინათ საწყობი გაძარცვისაგან.

მთვარიანი ღამე იყო. ამ დროს მოისმა თოფის ხმა; მას მოჰყვა ზედი-ზედ ხშირი სროლა იმ ადგილისკენ, სადაც ოფიცრები იდგნენ; უცებ ვიღამაც დაიძახა: „ლაჲის“-ო; ვისაც თოფი ჰქონდა უპასუხა, მაგრამ არავინ სჩანდა მოპირდაპირე. სროლა შესწყდა და ცოტა ხნის შემდეგ ოფიცრები შეიკრიბნენ იქვე და მსჯელობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. უფროსის ბრძანებით სადარაჯოდ დარჩნენ ექვსი აფიცერი, ვისაც ვინტოვკები ჰქონდათ, დანარჩენი უიარაღონი დაიშალნენ. უფროსი მაშინვე გაეშურა ტელეგრაფზე, აცნობა ტფილისს მდგომარეობა და სთხოვა დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ძალა.

ღამის პირველ საათზე საწყობს მიადგა ხუთასამდე შეიარაღებული ბრბო, რომელსაც მეთაურობდა ს. კონსტანტინოვკის კომისარი ჩერნიკოვი და სასტიკი სროლის შემდეგ მოხსნეს ყარაული და თითონ დადგნენ, ოფიცრები წაიყვანეს პოლკის უფროსთან. იმ ღამეს საწყობი არ გაუძარცვავთ; ამბობენ მახლობელ სომხის სოფელში—ვარხუნში შეიტყვეს ეს და ისინიც წამოვიდნენ შეიარაღებულნიო; ალბად დილამდე ვეღარ შეთანხმდნენ რუსები და სომხები და საწყობი იმ ღამეს გადარჩა გაძარცვას. მეორე დილას კიდევ ემცნო ეს ამბავი ტფილისს, ამავე დღეს რუსებმა გაავრცელეს შემდეგი ხმა: ოფიცრები მივიდნენ საწყობთან, მოხსნეს ყარაული და თავად დადგნენ, რომ საწყობი გაეძარცვათ. ჩვენ ეს შევიტყვეთ და წავედით საწყობის გადასარჩენათო. იმ საღამოს ამბობდნენ რომ ამაღამ საწყობს გაძარცვავენო. დაღამებისას უფროსმა გაგზავნა მორიგე ოფიცერი თავის თანაშემწით ამბის გასაგებად. რომ დაბრუნდნენ, მოახსენეს, რომ შეიარაღებული ბრბო, დაახლოებით 500—600 კაცამდე უკვე შემორტყმია საწყობს და ფურგუნებიც იქვე აქვთო ნივთების გადასაზიდათო. პოლკის უფროსი იმ წუთშივე გაეშურა ტელეფონზე და პირდაპირი მავთულით უნდოდა დალაპარაკებოდა სასახლეში ვინმეს და ეთხოვა ავტომობილებით იმ ღამესვე გამოეგზავნათ ძალა, რომ საწყობი გადაერჩინათ ნაწილობრივ მაინც.

საღამოს 10 საათზე და 27 წუთზე შეგვაერთეს სასახლესთან; აპარატთან იყო მორიგე მოხელე; მას სთხოვეს დაუყოვნებლივ აპარატთან მოეყვანა რომელიმე მთავრობის წევრი, ან დ საბჭოსი; მოხელემ სიტყვა სიტყვით შემდეგი გვიპასუხა: „въ дворцѣ никаго нѣтъ, кромѣ сторожэй и швйцаровъ, и гдѣ их искать ей Богу незнаю“, ამის შემდეგ სთხოვეს მას ვინმესთვის, ტელეფონით დაეძახნა და გადაეცა, რასაც ვეტყოდით; ცოტა ხნის შემდეგ იგი გვეუბნება: „Несмотря на всѣ старанія, никакъ ниодного министера по телефону не могъ дозваться“—თანაც ქართულად დასძინა: „ასეა ჩემო ბატონო, თავისუფლებაა და ყველას სძინავსო“... საშველება აღარ იყო და ვსთხოვეთ მიელო დეპეშა და იმავე წუთში გადაეცა კურიერის საშვალებით დანიშნულებისამებრ, ამაზე გვიპასუხა. ხვალ დილის 10 საათამდე თქვენ დეპეშას არავინ წაიკითხავსო!“—გადავეცით დეპეშა. ამასობაში უკვე მოისმა თოფის ხმა და დავრწმუნდით, რომ ავაზაკები შეუდგნენ ბოროტ მოქმედებას, იმ ღამეს გაიტანეს ნახევარი საწყობი, რადგან დილამდე მეტი ვერ მოასწრეს. დილას ხელახლა ემცნო ტფილისს საქმის გარემოება. დილასვე გავიგეთ, რომ იმ ღამეს დაამთავრებდნენ იმ საწყობის გაძარცვას, შემდეგ გაძარცვავდნენ სასურსათო საწყობს, შემდეგ აფიცერთა საკრებულოს, შემდეგ არა სამწყობრო ასეულს და ბოლოს, ალბად, ეწვეოდნენ აფიცრების ბინებს. ეს იყო 27 მარიამობისთვეს. ამავე დილას ტფილისის შტაბიდან გადმოგვცეს, რომ 28-ს საღამოს ალბულახში მოვიდოდა მეხუთე პოლკის ერთი როტა; ეს გაიგეს მცხოვრებლებმა და იძახდნენ: როტა კი არა, თუ უნდათ ბათალიონი გამოგზავნონო და ნახვენ როგორ შემობძანდებიან ალბულახშიო. უკვე ცხადი იყო, რომ მათ განზრახული ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწევა. ყველანი გრძნობდნენ, რომ ალბულახის ცა ილრუბლებოდა და მეხიც მალე გავარდებოდა; ვფიქრობდით და დარწმუნებულნიც ვიყავით, რომ როგორი როტაც უნდა გამოეგზავნად ტფილისიდან ალბულახში—ვერას გააწყობდა და აჰყრიდნენ იარაღს; ეს ერთი სირცხვილი იქნებოდა და მეორეც ის, რომ მდგომარეობა უფრო გამწვავდებოდა. უფროსმა აფიცრებმა ითათბირეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ ან უნ და გამოეთხოვათ ძლიერი ძალა, ანდა ეს როტაც უნდა დაებრუნებიათ. ტელეგრაფით ამის გადაცემა შეუძლებელი იყო, რადგან ყველანი გაიგებდნენ და აფიცრების სიცოცხლე განსაცდელში ჩავარდებოდა. გადაწყდა კაცის გაგზავნა; დაყოვნება შეუძლებელი იყო და დღის ორ საათზე ამ სტრიქონების დამწერი შესვეს ცხენზე და გაისტუმრეს ტფილისისკენ. საღამოს 9 ნახევარ საათზე აქ ვიყავი. რადგან იმ დროს სამხედრო შტაბებში ვერვის ვნახავდი, მსურდა დრო არ დამეკარგა და და სხვაგან გამეგო რამე. მე იმედი მქონდა გედევანიშვილის რაზმის და ღამის 10 საათზე ს.-ფედერალისტების ბიუროში ვიყავი უკვე; მაგრამ გავიგე რომ იმ დღეს გედევანიშვილი თავის რაზმით წასულიყო სამეგრელოში; იმავე წუთს გავეშურე წითელ გვარდიის შტაბში იქ მითხრეს, რომ ვერავის გამატანდნენ, რადგან ხალხი [illegible] ლოდცში არიან გაგზავნილნი და მირჩიეს მაშინვე მიმემართა მინისტრთა საბჭოსთვის. რომელსაც სხდომა ჰქონდა. მივედი და ვნახე მინისტრთა თავმჯდომარე ჟორდანია; დაწვრილებით გავაცანი მდგომარეობა და ვსთხოვე მაშინვე მოეხდინა განკარგულება შეიარაღებული ძალის გასაგზავნად, მან მიპასუხა, განკარგულება უკვე მოხდენილია და ხვალ საგუბერნიო კომისარი მაღლაკელიძე თავის რაზმით უნდა წავიდეს ალბულახშიო; თუ არ იკმარებს, მოვილაპარაკოთ და დღეს გიშოვნი ხალხსო; თანაც მიბრძანა, მეორე დილას ადრე მიმეყვანა მასთან მაღლაკელიძე, დილის ცხრა საათზე უკვე საგუბერნიო კომისარიატში ვიყავი, იძულებული ვიყავი მეცადნა 11 საათამდე, რადგან კომისარს ეძინა. დაახლოებით 12 საათზე მიმიღო კომისარმა და მოვახსენე ყოველივე; მიპასუხა რომ მინისტრის ბრძანების საპასუხოდ მან წასვლაზე უარი განაცხადა, რადგან ცოტა ხალხი ჰყავს,—არა აქვს ტყვიისფრქვეველები და „გრუზავიკები“—მეორე, არ ჰსურს რომ თავის ხალხი დაუქვემდებაროს სამხედრო სამინისტროს—მესამე და მეოთხე ის რომ თავის ბათალიონის უფროს რომ უბრძანოს წასვლა იგი მაინც უარს იტყვისო. ჟორდანიასთან წასვლაზედაც უარი განაცხადა, რადგან გერმანელთა მისსიაში მივდივარო... მხოლოდ საქართველოში მგონია შესაძლებელი იყოს აგეთი კურიოზი: მინისტრთა თავმჯდომარე უბრძანებს გუბერნიის კომისარს გაჭირვების დროს ზომების მიღებას და იგი უარს ამბობს; მინისტრთა თავმჯდომარე უბრძანებს კომისარს დანიშნულ საათზე მასთან მივიდეს და იგი არ მიდის, რადგან სხვაგან აქვს საქმე; კომისარი უბრძანებს ბათალიონის უფროსს საჭიროების დროს ხალხის გაგზავნას და ეს უკანასკნელი მაინც არ ასრულებს ბრძანებას და ადმინისტრაცია არ იღებს ზომებს სახელმწიფო ქონების დასაცავად მისთვის, რომ იგი ქონება ეკუთვნის სამხედრო უწყებას, რომელსაც იგი არ ემორჩილება!!. კურთხეულია ჩვენი ქვეყანა, რომ უბედურ ვარსკვლავზე არ იყოს დაბადებული.

როდესაც დავრწმუნდი, რომ კომისართან არაფრის გაკეთება შეიძლებოდა, სასწრაფოდ გავემგზავრე სასახლეში ისევ ჟორდანიასთან; მან გამგზავნა სამხედრო სამინისტროში და ბრძანა, ტელეფონით გადაეცათ, რომ სამხედრო მინისტრს დაუყოვნებლივ მიეღო და დახმარება აღმოეჩინა; მიმიღო სამხედრო მინისტრის თანაშემწემ, რადგან თვით მინისტრი იმ დროს იქ არ იყო: მოვახსენე ყოველივე დაწვრილებით და ვსთხოვე ძლიერი რაზმის გაგზავნა. ჩემ მოხსენებაზე მიპასუხა: დღეს დილით რაზმი უკვე გაიგზავნა ალბულალშიო; როდესაც გავიგე რაზმის შემადგენლობა და რიცხვობა, უპასუხე, ის რაზმი აუცილებლად დამარცხებული იქნება-მეთქი და შევეხვეწე გაეძლიერებინათ რაზმი, მაგრამ მან დამარწმუნა, რომ რაზმი საკმაო და თან აქვს ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნებიო; მიბრძანა დამშვიდებულიყავი და საჩქაროდ წავსულიყავ უკან, რადგან სხვა ძალას სულერთია მაინ ვეღარ მომცემდნენ. სხვა გზა აღარ იყო და დავსტოვე სამინისტრო. იმ ღამეს შევჯექი ცხენზე და გავსწიე ალბულალისკენ; დილას რაზმს დავეწიე, გავასწარი მას და მივაშურე ალბულალს, რომ უფროსისთვის მომეხსენებინა საქმის გარემოება. ჩვენები სიხარულით აღფრთოვანდნენ, როდესაც გაიგეს, რომ რაზმი მიდის ზარბაზნებითო. მარიამობის 29-ს საღამოს რაზმი უნდა ალბულალში ყოფილიყო, მაგრამ რადგან არტილერიას დაეგვიანებია, იგი ალბულალს მიადგა მხოლოდ 30 ს დილით ადრე, იმ დროს, როდესაც მე ტფილისში ვიყავი აი რა მომხდარა ალბულალში: 27-ს საღამოს დაუმთავრებიათ ტანთსაცმლის საწყობის გაძარცვა და იმავე ღამეს წაუკიდებიათ ცეცხლი და გადუწვავსთ; 28-ს საღამოს გაუზიდნიათ ძლიდარი ქონება მეთოთხმეტე გრენადერთა პოლკის ოფიცერთა და დაუმტვრევიათ იქაურობა; 29-ს საღამოს ასტყდა საშინელი სროლა, გასტეხეს სასურსათო საწყობი და კედლების მეტი არაფერი დაუტოვებიათ. 30-ს დილით რაზმი მოადგა ალბულალს, რომლის უფროსმა დაიბარა წარმომადგენლები და მოითხოვა 2 საათის განმავლობაში იარაღის ჩაბარება; წარმომადგენლები მივიდნენ მასთან და მოახსენეს, რომ იარაღს ჩააბარებენ. მისცეს დრო საღამომდის; უფროსმა კი ვადა გაუგრძელა 20 საათით კიდევ. ამ დროს ალბულალში შემდეგი ამბავი იყო: მოხუცებულები ფიქრობდნენ იარაღის ჩაბარებას; ახალგაზრდებმა უთხრეს: თუ იარაღი ჩაგვიბარებიათ ჩვენ ჯერ რაზმს

მოვესპოთ, და მერე თქვენ ყელებს დაგჭრით; თვალის ასახვევად მოაგროვეს მაინც 20-მდე ვინტოვკა. მთელი ახალგაზრდობა შეიარაღებული გავიდა ალბულიდან და მიაშურა მთებს, რომ რაზმს გარშემო შემორტყმოდა; იქნებოდა 700—800 კაცამდე; ამავე დროს სწრაფად აფრინეს ცხენოსნები სომხის სოფლებში და შეატყობინეს ამბავი, მათ არ დააყოვნეს და სწრაფლად გამოცხადდნენ იარაღით ხელში. რაზმის უფროსს მზვერავები გამოეგზავნა ალბულში, რომლებიც ყაზარმებისკენ გაეშურნენ; გზაში მათ სროლა აუტეხეს და შეიქნა სასტიკი სროლა; მაშინ დარწმუნებულია რაზმის უფროსი, რომ საქმე ცუდად იყო და მოისმა ზარბაზნების ხმა. რაზმს ჰქონდა პატარა ფრონტი; არ ჰქონდა დაცული არც ფრთები და არც ზურგი. იგი ბრბოს მიერ გარშემორტყმული იქმნა და ორი საათის სროლის შემდეგ გაჟლეტილი; წაართვეს ერთი ზარბაზანი, ორი ტყვიის-მფრქვეველი, აუარებელი ტყვია-წამალი, მთელი ურემეული (ობოზი) თითქმის და გამარჯვებულებმა სიმღერით შემოიტანეს ყოველივე ალბულაღში; თანაც იძახდნენ: ჩვენ ვაჩვენებთ სეირს კუკურუზნაია რესპუბლიკასო.

გენ. ხრეითელი.

(დასასრული იქნება)

## ჯავშნოსანი № 4

სადგურ ს... ერთ-ერთ სათადარიგო ლიანდაგზე სდგას ჯავშნოსანი მატარებელი № 4.

მის გარშემო ბუზივით ირევა ცნობისმოყვარე ხალხი და მორიდებით ათვალიერებს საარაკო გველეშაპს. მატარებლის გარშემო უვლის დარაჯი, ახალგაზრდა გურული, რომელიც გაბრწყინებული სახით, დაუზარებლად, თავაზიანად იძლევა პასუხს ყოველგვარ შეკითხვაზე და თან მარდათ ატრიალებს ხელში მოკლე, კოხტა „კარაბინას"...

სალამოს 9 საათია. ჯავშნოსანზე მიბმულ სამგზავრო ვაგონიდან მოისმის ხმა შეწყობილი სიმღერა — ეს ჯავშნოსანის გმირები მღერიან, მღერიან მეტად ტკბილად და ხალისიანად.—სხვანაირად მათ არ შეუძლიანთ:

ან ბრძოლის ყიჟინა და თოფის სროლის ხმა უნდა ატკბობდეს მათ ყურთასმენას, ან და სიმღერა. და ისინიც მღერიან, მღერიან მრავალჟამიერს, მაყრულს გოგონას და სხვა.

ჯავშნოსანს უახლოვდება მაღალი, განიერ მხარ-ბეჭიანი, მდევივით ვაჟკაცი; ის დინჯად, აუჩქარებლად უვლის მატარებელს გარშემო და შედის ვაგონში.

— გოგუაძე მოდის!—გვესმის ხმა და ვიგებთ, რომ ეს მდევივით ვაჟკაცი, ჯავშნოსანის უფროსი ალფესი გოგუაძე ყოფილა, ცნობილი ვალოდია გოგუაძის უმცროსი ძმა.

საკმაოა მარტო ერთხელ შეხედო ა. გოგუაძის გარეგნობას, და დარწმუნდები, რომ რაღაც მართლა არაჩვეულებრივ პიროვნებასთანა გაქვს საქმე. და ამას ნათლად ღაღადებენ მისი საქმენი საგმირონი. დიდიდან მსოფლიო ომის დაწყებისა, ის მსახურობდა სხვა და სხვა ფრონტზე, როგორც სათადარიგო ჯარისკაცი და როგორც სამაგალითო მხედარმა მრავალი ჯილდო მიიღო. მოხდა რევოლიუცია და მიუხედავად იმისა, რომ ჯარი დაადგა რღვევისა და გახრწნის გზას, ათასობით და ათი ათასობით გამორბოდნენ ფრონტიდან, ის უკანასკნელ წუთამდის არ მოშორებია ფრონტს და მხოლოდ მაშინ, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ისიც იძულებული შეიქმნა წამოსულიყო...

წამოვიდა, მარა ამ დროს მას და მის ძმებს გაუჩნდა მეტად დიდი და მძიმე საქმე—ეს გაბოლშევიკებულ რუსის ჯარის კაცების რუსეთისაკენ გასტუმრება იყო. და ისინიც ერთგულად შეუდგნენ ამ ძნელი საქმის პირნათლად ასრულებას. სადახლო, შამხორი, აჯიკაბული, თელავი, გორი, ქუთაისი, ჩოლოქი, ტყიბულა და მრავალი სხვა ადგილები, სადაც საუკუნით გაიშალა და გაიფურჩქნა ამ გმირ ძმათა გმირული ნიჭი.

და მიტომ არც გასაკვირველია, რომ ხელქვეითი ჯარისკაცები ასე პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან თავიანთ საყვარელ უფროსს ამხანაგს.

შედგა თუ არა ა. გოგუაძემ მატარებელში ფეხი, მსწრაფლ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სიმღერა შესწყდა და ყველანი სახეში შეაცქერდნენ გამოცხადებულ უფროსს. ისიც მიესალმა ყველას, გამოჰკითხა, აათვალ-ჩაათვალიერა ვაგონი და გასწია თავის ბინისაკენ დასასვენებლად.

მეორე დილას ვსთხოვე ჯავშნოსანის უფროსს—მატარებლის დათვალიერების ნება. ის სიამოვნებით დამეთანხმა და თითონ გამიძღვა წინ. მატარებელი შესდგება სამი ჯავშნიანი და სამი სამგზავრო და ერთი ჯავშნიანი ორთქლმავლისაგან. პირველი ჯავშნიანი ვაგონი შეიარაღებულია ერთ 3 დიუმიანი ზარბაზნითა და ოთხი ტყვიის მტყორცნელისაგან, არის აგრეთვე შეხუთე და მეექვსე ტყვიის მტყორცნელიც, მაგრამ ესენი, ასე ვთქვათ, ყოველ შემთხვევისათვის მეორე ვაგონი სასროლი მასალის საწყობათაა, შემდეგ მიბმულია ორთქლმავალი და ორთქლმავალის შემდეგ არის მესამე ჯავშნოსანი ვაგონი, ისევე შეიარაღებული, როგორც პირველი. ვაგონებს მრავლად ეტყობა მოხვედრილი ტყვია, რომელსაც ჯავშნიანი ნახევრად გაუხვრეტია, მაგრამ შიგ კი ვერ შეუტანია. მესამე ვაგონის შიგნითა კედელზე მარჯვნით სისხლია მისხმული.

— ეს ჩემი ბიძაშვილის ბარნაბა გოგუაძის სისხლიაო, რომელიც ჩოლოქთან, ოსმალებთან ბრძოლაში დაიღუპაო,—განმიმარტა ჯავშნოსანის უფროსმა და მძიმედ ამოიოხრა. იმ ბრძოლაში ჯავშნოსანს დააკლდა მებრძოლი. ამ მესამე ვაგონს მოსდევს სამი სამგზავრო მატარებელი, რომელშიაც ცხოვრობენ 60 მეჯავშნოსნე, რომელთაც აქვთ სამკითხველო, სამზარეულო და ტანისამოსის საწყობი. ყველა ეს 60 გმირი ვაჟკაცი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანი წესრიგითა და დისციპლინით. ყველა მათგანი ყოველ წუთს მზად არის თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მოუტანოს სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ბედნიერებას და სწორედ ამით აიხსნება ის ურიცხვი გამარჯვებანი, რომელიც მათ ხვდათ წილად.

— დიდხანს დარჩებით აქ?—შევეკითხე უფროსს.

— განკარგულებამდის!—მოკლედ მომიგო მატარებლის უფროსმა და ამით მაგრძნობინა, რომ ის მხოლოდ აღმასრულებელი ძალაა მთავრობის ბრძანებისა, რომელმაც კარგად იცის, ვინ სად უნდა გაგზავნოს და ამ სფეროში ჩარევა არც ჰსურს და არც შეუძლიან ჯავშნოსანის უფროსს.

ვაკვირდებოდი ჯავშნოსანის უფროსს და მისს ხელქვეით ჯარის კაცებს და თან ვფიქრობდი: ნეტავი თქვენისთანა თავდადებული მამულიშვილი ერთი ოცი ათასი მაინც მისცა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, ან ჩვენი ქვეყანა უფრო მჭიდროდ იყოს რკინის გზებით დასერილი, რომ ჩვენს მთავრობას შეძლება ჰქონდეს შედარებით მცირე ძალებით. ალაგმოს ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი—მეთქი. ამ დროს სადგურის უფროსმა განცხადება გამოაკრა: რადგან სათბობი მასალა გამოილია, ამიერიდან დღეში მხოლოდ ერთი მატარებელი ივლისო. ეს განცხადება ლახვარივით „მეცა გულში; რადგან დღეს მატარებელმა გამასწრო და მთელი 24 საათი უნდა ვუცადო მეორე მატარებელს. თან ოცნების ბურუსიდან გამომიყვანა: რაც რკინის გზა, გვაქვს იმაზედაც ვერ მოგვიწყვია წესიერი მიმოსვლა და მეტი რომ გვქონდეს, მაშინ ხომ სულ ავირევით—მეთქი!

ამ ფიქრებით გავშორდი ჯავშნოსანს, ამ დაუძლეველ მცველს ჩვენი ქვეყნისას რომელსაც პირნათლად მოუხდია თავისი ვალი ქვეყნის წინაშე და დაღლილ-დაქანცული მცირე ხნით მოსვენებას მისცემია, რომ ძალ-ღონე მოიკრიბოს და ისევ შეუდგეს ხალხის საკეთილდღეოდ სამსახურს.

ვ. ტო—ძე.

## ახალციხელი ლტოლვილნი

ტფილიში თვალი მოვკარი ცნობილ მოღვაწეთ მესხეთ-ჯავახეთში, სახალხო სკოლების მასწავლებელს ივანე ბარიკალაშვილს (მესხი. ბარკალაის), რომლის მოღვაწეობა 30 წლის გამავლობაში ქართველ-მაჰმადიანთ და კათოლიკეთა შორის ჩვენს გაზეთებშიაც მოხსენებული იყო. იგი ძველი ამხანაგი და თანამშრომელი გაზეთ „ივერიასა", და ახალციხის საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი, ბატანიკოს-ისტორიკოსი, როგორც შევიტყვეთ ნივთიერად დაზარალებულა, მეორე მოღვაწე, ცნობილი ილია ალხაზაშვილია, თანამშრომელი ჟურნალ „განათლებისა" და ჩვენი გაზეთებისა; იგიც 30 წელწადია შრომობდა ჯავახეთში და დიდათ ხელს უწყობდა სწავლა-განათლებას ჯავახეთში, და დიდ შემწეობას აძლევდა მცხოვრებლებს; ამოდენა შრომას და სიკეთისთვის, კინაღამ, როგორც მკითხველთ იციან, ბნელი ბრბოს მსხვერპლ შეიქმნა.

ნ. მ—ძე

## მოწერილი ამბები

**ს. მეჯვრისხევი.**

„სახალხო საქმის" მე-317 ნომერში წავიკითხე რაჭა-ლეჩხუმლების მოწოდება, მრავალ კარგ საქმიანობასთან საზოგადოება ჰპირდება თავის კუთხეს, რომ გაუხსნის ბიბლიოთეკას, მესიამოვნა მათი საქმიანობა და შევნატრე: ნეტა იმ მხარეს და იმ ხალხს, სადაც ასე ზრუნავენ მეთქი და მომაგონდა საბრალო ს. მეჯვრისხევი, აქ ჩვენ სოფელში გაკეთებულს და აშენებულს შლიან და ანგრევენ. და მერე ვინა? თვით სოფლის კომისარი, რომელიც უნდა ცდილობდეს კულტურულ საქმის დაწყობას, მის სისრულეში მოყვანას და ხელის შეწყობას, ეს კი ხელს უშლის. სოფლის შუა ადგილას სდგას კოხტა ორ-სართულიანი სახლი, სადაც იქაურმა ინტელიგენციამ და ხალხმა მოათავსა: საამხანაგო ბანკი, სამკითხველო და კოოპერატივი. ბანკს ისეთი ფართო დარბაზი ეჭირა, რომ შიგ კრებებიც იმართებოდა, ქვემო სართულში კოოპერატივი თავისი საწყობებით არის მოთავსებული. და აი ეს კოხტა შენობა ამოიღო მიზანში ბ-ნმა კომისარმა ი. რუხაძემ თავის დასაბინავებლად და ხალხსაც გამოუცხადა თავისი სურვილი. ხალხი დიდ უარზედ იდგა, მაგრამ ამაოდ. რაც მოინდომა კომისარმა, აასრულა და დაბინავდა კიდეც. ბანკი და სამკითხველო გაძევებულ იქმნა იქიდან. ხალხის დადგენილება და სურვილი უკუგდებული. გამოდის, რომ ხალხიც, ბანკიც და ბიბლიოთეკაც რუხაძესთვის ყოფილა და არა რუხაძე მათთვის. მაგრამ ამით არა თავდება ბიბლიოთეკის ტრაღედია და დევნა. მოინდომეს სახალხო გვარდიის დაარსება. ბინები სოფელში რამდენიც გინდათ. ყველა ბინას თავი დაანებეს და მიზანში კიდევ ბიბლიოთეკის ოთახი ამოიღეს. მისცეს წინადადება ის და კოოპერატივის საწყობები, იქვე გვერდზეა მოთავსებული, დაეცალნათ. ამნაირ საქციელს მე დავარქმევ კულტურულ დაწესებულების დევნას. სწორედ სირცხვილია გამოდის რომ ბიბლიოთეკა, ბანკი ხალხის თვალში არა რა არის, რადგან სათავეში მდგომნი თითონვე ფასს არ სდებენ. ბიბლიოთეკას კი ყველგან და მეტადრე სოფლად დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი არის სკოლის გაგრძელება. სოფლის სკოლაში სწავლა დამთავრებულებმა იქიდან უნდა ზიდონ წიგნები, იკითხონ და განავითარონ თავი. ჯსეც იყო აქამდის. სასიამოვნო იყო ხუთშაბათობით და შაბათობით, როგორის ხალისით მოდიოდნენ მოზარდი თაობა და სცვლიდნენ წაღებულ წიგნებსა. ბიბლიოთეკის ასეთ დევნას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა მთიულაშვილმა და იქაურმა მასწავლებლებმაც, ვინაიდგან მათი მოწაფეები იქაურის წიგნებით სარგებლობენ და თითონაც უნდა გზავნიდნენ და უნიშნავდნენ, თუ რა წიგნები უნდა იკითხონ, მაგრამ სამწუხაროდ ამას არა ვხედავთ.

ბევრ უკუღმართობასთან ერთად ამ სოფელში ყურადსაღებია იქ გაჩენილი ხოლერა, რომელიც მსხვერპლს მსხვერპლზედ ზიდავს და პატრონი და ყურის მგდებელი არავინ არის. კომისარი თავისთვიმა ზის კოხტა სახლში, მამასახლისის მაგიერი მეორე კომისარი ყურს არ იბერტყავს და ხალხი სასაფლაოს ავსებს.

მახსოვს, 1910 წ. რომ ხოლერა გაჩნდა მთელი იქაური ინტელიგენცია ფეხზედ დავდექით, მივიღეთ ზომები, ავარჩიეთ სანიტარული რაზმი, რომელიც სისუფთავეს იცავდა, გავაწმენდინეთ რუ, სოფელში დავდგით ორი „კუბი" და ხალხს ვასმევდით ჩაის, და სამ კვირაზედ მოვსპეთ სენი. ეხლა რა ხდება?! არაფერი. ინტელიგენცია აღარსადა სჩანს ადგილობრივი—კომისრები არა ზრუნავენ. არამც თუ სისუფთავე. დარიგება და წამალი, საბრალო ხალხს შაქარიც კი არა აქვთ რომ ცხელი წყალი დალიონ. სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე კი ისევ ბ-ნი რუხაძეა და არაფერს ზრუნავს შაქარი მაინც მოეტანა ხალხისთვის. სოფელი ღვთის ანაბარაა და ნეტა როდემდის?!

ამას უნდა დავუმატო ერთი სამწუხარო მოვლენა. უკვე ოთხი თვეა მთავრობაში პარტიები ს. დემოკრატებისა და სოც.-ფედერალისტებისა შეერთდნენ და შეთანხმებით მუშაობენ, მეჯვრისხევის სამამასახლისოში კი არაფერი მსგავსი არ მომხდარა. სამამასახლისოში შედის 12—მეტი სოფელი და ყველა ამათ ვერ წარმოუდგენია პარტიათა შეთანხმება. ისევ ძველებურად შემჩემაობა, ჩქმალვით კრებები, საქმის გაკეთება მხოლოდ პირველი ნომრისათვის და ნაყოფიც ხომ ყველამ დაინახა ერობის არჩევნები უკანოიოდ მხოლოდ გორის მაზრაში ხდება სადაც ასეთი არამკითხე კომისრები სთესავენ იმას კი არა, რაც მთავრობას უნდა, არამედ იმას, რაც თითონა ჰსურთ. რასაკვირველია საქართველოს საქმე არ გაკეთდება.

ერთ ფრიად საყურადღებო მოვლენასაც მინდა მივაქციო საზოგადოების ყურადღება. უკვე მეორე წელიწადია ამ სოფლის კანცელარიის დასამთავრებლად ფული გროვდებოდა: იყო შეწირულებაც და გარდა ამისა „ზაპასების" სურვილისამებრ სწირავდნენ, რამდენიც უნდოდა, ასე რომ კარგა ჯამი შესდგებოდა. კანცელარიის შენობა დღესაც დაუმთავრებელია და კომისარი ბინებს სხვას ართმევს შტაბის მოსაწყობათ, ის შენობა კი რომ გაეთავებინა აქ მოათავსებდა. საჭიროა გავიგოთ რა იქმნა ის ფული და ან რატომ არ ამთავრებენ იმ შენობას? ყველა ჩვენგანმა ფული შევწირეთ კანცელარიისთვის და არა სხვა რამეს. საჭიროა გავიგოთ საზოგადოებასაც ვურჩევ თავიანთ კულტურულ დაწესებულებას ყური უგდონ და აშენად არვის ააგდებინონ.

ძველი მეჯვრისხეველი.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს წლის დასაწყისიდან აქნობამდე:

1) რაჟდენ ყარამანის ძემ დათუშიძემ: მაჰმადიანთ სასაქმეველო, ვერცხლისა, 2) ვახტანგ დიმიტრის ძემ ნაცვლიშვილმა: ა) ქვის ცული, ბ) აბანოს ქვა, გ) თათრების ჯვარის წერის საბუთი. დ) საპირის წმილე და ე) ქართული თეთრი ორაბაზიანი. 3) ბატონმა ზალდასტანიშვილმა: ა) 35 შავი და 5 თეთრი (ერთი ყალბია და გატეხილი). 4) ვასილ მახულიამ: რუსუდანის შავი ფული (ნაპოვნია ევლახთან მტკვრის სილაში). 5) სოფიო დავითის ასულმა აბაშიძისამ: თავის კიტო აბაშიძის მიერ სიტყვიერად ნაანდერძევი საკეტი ხატი, ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი, ქართული წარწერებით, 6) ლადო კოტეტიშვილმა: თეთრი ფული, 7) გიორგი ერისთავმა: ბაქარი შავი ფული 8) კონსტანტინე ბოტკოველმა: სოფელ მატანში ნაპოვნი ბეჭედი მამაკაცისა, ყვითელი. 9) ალექსანდრე მიხეილის ძემ თაროშვილმა: ა) რვა ქართული თეთრი და ერთი შავი და ბ) ცხრა კოლხური (ფოთში ნაპოვნი), 10) ალექსი ანტონოვმა: თოფ-ხანჯალი, 11) ნიკოლოზ გიორგისძე მრევლიშვილმა; ა) მატიანის ხელნაწერი წიგნი, ხუცური და ბ) „საღმრთო მსახურება" ნაბეჭდი წიგნი ხუცური 14) ქაიხოსრო ქავთარაძემ: რუსუდანის თეთრი ფული ყალბი. 15. ზარბალე იოსების ასულმა ღვინიაშვილისამ: თხუთმეტი შავი და ცხრა თეთრი ძველი ფული. 16) ალექსანდრე იოსების ძემ კანდელაკმა: ა) 5 შავი ფული, რუსული, ბ) 3 თეთრი რუსული (მანეთიანები), გ) 3 სპარსული (ორი თეთრი) ფული. დ) ერთი ქართულ-რუსული თეთრი ა) სამი, ევროპიულ სახელმწიფოთა, ფული და ვ) ერთიც იაპონური.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

გამომცემელი ხამხონ ფირცხალავა. რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

დაბეჭდილია

**ჩეკები**

კოოპერატივებისთვის და ყოველგვარ სავაჭროებისთვის.

სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა № 14. 1306

**ექიმი** ბ. მ. მუხაძე იღებს სიფილისით, ავადმყოფთ. სალამოს 5—6 ს.-მდე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, თფილისის ხელოსანთა საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

**ექიმი** ა. მ. ლევენშტეინის კაბინეტი წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი** მ. მუხაძე იღებს ავადმყოფთ დილის 12—... ... ლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალი რ. ... მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და სალამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 5087

**ექიმი** ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, სალამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—2 ს. მელიქოვის ქ. 12, მე-2 ეზოში. 0190 № 14

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი** ქალისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კარგებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1182

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. სალამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სადამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმროთ „ნოეს" პირდაპირ № 3 1364

**ექიმი** ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და სალ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. ხიმშიაშვილის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** მ. ძ. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობ. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა სალამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 6—35. 1270

**თვალის სამკურნალო. მუდმივი სამოქმედო ექიმ დონხიოისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და სადამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავახარდიანის პირველი ქირურგ. სამკურნალო.**

(დაარსებული 1880 წელს)

გოლოვინის ქუჩის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

გ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ზ. ავახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. მგნიამთოვიანი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. ავეტიხიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.

სადამოთი:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.